თსუ მედიცინის ფაკულტეტი

Turnitin-ის პროგრამით შემოწმებული ნაშრომების ანალიზის შედეგები

(2019/2020 სასწავლო წელი)

მედიცინის ფაკულტეტზე „Turnitin“-ის პროგრამით შემოწმდა სამაგისტრო ნაშრომები. აქვე გვინდა ავღნიშნოთ, რომ ფაკულტეტზე მოქმედებს სულ ორი საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამა, 2019/2020 სასწავლო წელს დაასრულა სამაგისტრო პროგრამა და წარმოადგინა სამაგისტრო ნაშრომი სულ 13 სტუდენტმა, მათ შორის 7 ქართულენოვანი პროგამის და 6 ინგლისურენოვანი პროგრამის სტუდენტმა.

სტუდენტების მიერ ატვირთული იქნა ნაშრომები როგორც შუალედური შემოწმებისთვის, ისე ფინალური შემოწმებისთვის. შემოწმების პროცესში ჩართული იყვნენ როგორც სამეცნიერო ხელმძღვანელი, ისე პროგრამის ხელმძღვანელები.

შემოწმების დროს გამოვლენილი დამთხვევები გაანალიზდა სტუდენტებისა და შესაბამისი სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ. ყველა ნაშრომის დამთხვევების გარკვეული ნაწილი დაკავშირებული იყო ტექნიკურ ასპექტებთან და მაგალითად განპირობებული იყო ლიტერატურული წყაროებით, ინგლისურენოვან პროგრამებში კითხვარების სტრუქტურით, თუკი კითხვარი გამოყენებული იყო საერთაშორისო წყაროზე დაყრდნობით, ასევე ციტირებული ტექსტებით, თუმცა ნაშრომში მითითებული იყო სათანადო წყარო. სხვა დანარჩენი ხასიათის დამთხვევები დამატებით გაანალიზდა სტუდენტებისა და ხელმძღვანელების მიერ ერთობლივად და დამუშავებული იქნა მაგისტრანტების მიერ. შემოწმების შედეგად ნაშრომების საბოლოო ვერსია მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული იყო.

სამაგისტრო ნაშრომების შემოწმების შედეგების მაქსიმალურმა მაჩვენებელმა შეადგინა - 22%, მინიმალურმა - 2%, საშუალო მაჩვენებელია - 10,9% (იხ. დიაგრამა №1).

ამასთანავე გარკვეული განსხვავება გამოვლინდა დიაპაზონის ნიშნით ქართულენოვან და ინგლისურენოვან სამაგისტრო თეზისებში. ინგლისურენოვან ნაშრომებში დიაპაზონი იყო 13%-22%-ის ფარგლებში, ხოლო ქართულენოვან ნაშრომებში-2%-12%-ის ფარგლებში. ამასთანავე სიხშირული მაჩვენებელმა ინგლისურენოვან ნაშრომებში შეადგინა 13% (n=3), ხოლო ქართულენოვან ნაშრომებში 8% (n=2) და 4% (n=3) (იხ. ცხრილი №1).



დიაგრამა №1. სამაგისტრო ნაშრომების შემოწმების მაჩვენებლები

მედიცინის ფაკულტეტზე „Turnitin"-ის პროგრამით შემოწმების პროცესი ერთობლივად წარიმართა სამეცნიერო ხელმძღვანელების, პროგრამის ხელმძღვანელების და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთობლივი თანამშრომლობით. „Turnitin"-ის პროგრამით ნაშრომების შემოწმებისას დამთხვევების 25% და მეტი მოითხოვს სპეციალურ რეაგირებას, რაც გულისხმობს: ნაშრომის დეტალურ შემოწმებას, ანალიზს, მაჩვენებლის შემცირებისკენ მიმართული ღონისძიებების დასახვას სამეცნიერო ხელმძღვანელის მხრიდან, ნაშრომის გადამუშავებას სტუდენტის მიერ, განმეორებით შემოწმებას და ხელმძღვანელის შესაბამის დასკვნას.

ცხრილი №1 პლაგიარიზმის შემოწმების შედეგები პროგრამების მიხედვით

ქართულენოვანი სამაგისტრო პროგრამა	მაჩვენებელი	2	4	8	10	12
	რაოდენობა	1	2	2	1	1
ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა	მაჩვებებელი	13	14	19	22	-
	რაოდენობა	3	1	1	1	-

ანალიზის შედეგები დამატებით გაზიარებული იქნა ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან. მედიცინის ფაკულტეტზე „Turnitin"-ის პროგრამით სამაგისტრო ნაშრომების შემოწმების პროცესი ძალიან სასარგებლო და ეფექტური აღმოჩნდა აკადემიური კეთილსინდისიერების ნორმების უზრუნველყოფის მიზნით.